სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №57

ქ. თბილისი 18 მაისი 2018 წ.

„2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 11 აპრილის N43 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N591075, 18.05.2018წ. N594398, 18.02.2018წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 11 აპრილის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის N43 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართი 1-ში და:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომელიც ასრულებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს: პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, აგრეთვე კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის უცხოელი წევრები შეიძლება არ წარმოადგენდნენ ძირითად პერსონალს"

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"თ) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა, გარდა იმ უცხოელი პერსონალისთვის, რომლებიც ატარებენ ძირითადი და პლენარული მომხსენებლების,

მოწვეული ლექტორებისა და კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრების სტატუსს (თუ ისინი, ამავდროულად, არ ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს)".

გ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. მკვლევრების პროფესიული ბიოგრაფიები - CV-ები (დანართი 4), ფიზიკური პირები - პროექტის ძირითადი პერსონალი (მათ შორის პლენარული მომხსენებლები და ლექტორები, თუ ისინი, ამავდროულად, ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს) ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება და ექსპორტირდება CV-ები, რომლებიც იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტების სახით პროექტის წარდგენისას). უცხოელი ძირითადი და პლენარული მომხსენებლები/მოწვეული ლექტორები და კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის უცხოელი წევრები (თუ ისინი, ამავდროულად, არ ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს) არ რეგისტრირდებიან GMUS-ში და მათგან მოითხოვება CV-ის სტანდარტულ ფორმა ქართულ და ინგლისურ ენებზე, PDF დოკუმენტების სახით".

2. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 11 აპრილის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის N43 ბრძანების მე-16 პუნქტით დამტკიცებულ დანართი 15-ში და:

ა) მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2. აღნიშნული კატეგორია გულისხმობს როგორც ღონისძიებაზე მონაწილე საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, ღონისძიების მონაწილე უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც და მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), არარეზიდენტებისათვის საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს“

ბ) მე-3 პუნქტის 3.7 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ 3.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

-ბანკის მომსახურების ხარჯებს;

-ექსპერტიზის, შემოწმებების, ლაბორატორიული და სხვა მომსახურების ხარჯებს;

-კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

-რეკლამის, კვლევის შედეგების პრეზენტაციებისა და საჯაროობის/ხელმისაწვდომობის ზრდის ხარჯებს;

-სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკაშირებულ სხვა ხარჯებს (ტრანსპორტის, კვების და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯის გამოკლებით. მაგალითად ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა აქტივების ქირავნობის ხარჯები);

-საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს;

-საარქივო მომსახურების ხარჯებს;

-კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს;

-ერთჯერად ჰონორარს;

სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ხარჯებს, მათ შორის: საცდელი მაკეტებისა და ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების, ქიმიკატების, ქაღალდების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტის შეძენის ხარჯებს, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯებს, საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ლაბორატორიების/კაბინეტებისათვის სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯებს, სისხლის და პლაზმის შეძენის და სხვა სამედიცინო ხარჯებს, ასევე სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენას; რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების და სხვა მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენის ხარჯებს; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სტანდარტიზაციასთან და სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სიგელებისა და სერთიფიკატების ხარჯებს; აქტივების იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სხვადასხვა მოსაკრებლების, საკომისიოების და ბილეთების შეძენის ხარჯები; დანადგარების დაზღვევის ხარჯს, სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: საცდელი ფაქტობრივი გაბურღვის ხარჯები, აგრეთვე ტესტირების ჩასატარებლად გაწეული ხარჯები.

- სხვა დანარჩენი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და არ კლასიფიცირდება წინამდებარე დოკუმენტში.

შენიშვნა : დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა, გარდა იმ უცხოელი პერსონალისთვის, რომლებიც ატარებენ ძირითადი და პლენარული მომხსენებლების, მოწვეული ლექტორებისა და კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრების სტატუსს (თუ ისინი, ამავდროულად, არ ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს).”

3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

4. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მანანა მიქაბერიძე